ჩემი საქართველო

№60, მაისი, 2019

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!

ღმერთმა დალოცოს საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი–ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

+ ილია II,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

პროფესორი

რექტორის ზრიბუნა

გარი ჩაფიძე: – პედაგოგიკის დეონტოლოგია

დასასრული, დასაწყისი იხ. გაზეთ „ჩემი საქართველო“ №53-57

ცხოვრება ურთულესი ფენომენია, მოზარდს ამ მხრივ აღმზრდელობით დაწესებულებებთან ერთად, საზოგადოება და ძირითადად ოჯახი აყალიბებს, ამიტომ მშობლებმა განსაკუთრებული რუდუნებით უნდა შეძლონ ბავშვის საზოგადოებასთან ინტეგრაცია და მისი აღზრდა დაბადებამდე ბევრად ადრე უნდა დაიწყონ და ადრე არსებულ აღმზრდელობით სამკუთხედს: – სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების აუცილებელ ურთიერთობას, მეოთხეც უნდა დავუმატოთ, დიახ, დღეს უკვე სკოლის, ოჯახის, საზოგადოებისა და რელიგიის განუყრელობით, საგანმანათლებლო ოთხკუთხედი უნდა შევქმნათ, მოზარდთა სულიერების ქვაკუთხედად.

სული? რა არის იგი? ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვესმის: სულიერი აღზრდა, სულის მუშაობა, სულის აღზრდა, სული და გული, გულითადი, უსულგულო... – აუცილებელია წარმოვიდგინოთ ის, რაზეც ვსაუბრობთ! ყოველ ქვეყანას ჰყავს თავისი მთავარი პედაგოგი – ხალხი! და აქვს პედაგოგიკის მთავარი სახელმძღვანელო – ენა! დიახ, ქცევებისათვის ხალხს უნდა მივმართოთ, ხოლო გაგებისათვის ხალხის ენას!

სული – ეს არის ადამიანის მთელი ფსიქოლოგიური სამყარო, მაგრამ ენის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სული ფსიქიკის მხოლოდ ნაწილია, სული ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის, ამიტომაც საუბრობენ მასზე განყენებულად, როგორც ცოცხალ არსებაზე: – სული მტკივა, სულს სტკივა, სულს სწყურია, სულო ობოლო, სულს სურს... იგი ნაღვლობს, იგი ხარობს... მე კი არ ვხარობ ჩემში სული ხარობს და ის რაღაც იდუმალი მოუხელთებელია ადამიანში: ჩემი სული დღესაც მოისწრაფვის, სულის სიღრმეში, სულის მზერა-ჩაუღწეველ სიღრმეში... ის არის რაღაც ისეთი, თავისებური, რაზეც არ შეიძლება ძალდატანება, ის არის წრფელი, უტყუარი ადამიანის არსის გამომხატველი – სულით ერთგულია, სულით ეზიზღება, მთელი სულით და გულით გისურვებთ ყველაზე ძვირფასი იდუმალი, ძლიერი, უძილო, თავისებური, წრფელი, უტყუარი – აი, როგორი შესანიშნავი, დიდებული თვისებებითაა მოსილი იგი ჩვენს საერთო შეგნებაში. არც თუ იშვიათად გვესმის: – მთელი სულით გითანაგრძნობთ, სულით განვიცდი, სულით ვგრძნობ, სულიერად ვიტანჯები, სულით ვესწრაფვი... თუმცა არ შეიძლება ვთქვათ „მთელი სულით ვფიქრობ“, მაგრამ ვამბობთ „მთელი სულით მიყვარს...“ სულს თუ ესმის ჩვენი საუბარი, მაშინ ეს არის ყველა სურვილის, გრძნობის, მისწრაფებისა და სიხარულის შეერთება, ერთმანეთს შერწყმული სურვილი და გრძნობა იძენს ახალს, სახელდობრ სულის თვისებას, წმინდა სულში ქვენა სურვილები არ გაჩნდება, ხოლო სულით მდაბალში იშვიათად იბადება კეთილი გრძნობები.

„მგრძნობელობა მე აზროვნებაზე უფრო ადრე ვისწავლე“ – წერდა ჟ.ჟ რუსო და დასძენდა, რომ ეს ყველა ადამიანში ასეა, ადამიანის სული იქმნება ცხოვრების პირველ კვირას, პირველ თვესა და წელს, მაშინ, როცა ჭკუა ჯერ კიდევ განუვითარებელია, ხოლო გონება ჯერ ჩართული არ არის... გავიხსენოთ ჩვენი თავი ყველაზე ადრეულ წლებში, გონების ძალით დაუბრუნდეთ, სანამდის შევძლებთ შეღწევას და აღმოვაჩენთ, რომ ის მაშინაც დაახლოებით ის ადამიანი იყო, რაც დღესაა, იმიტომ კი არა, რომ მხოლოდ პირველი სამი ანდა ექვსი წელია მნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრებაში, არც ის რომ ადამიანი ღებულობს ინფორმაციის იმ რაოდენობას, რომელიც გვყოფნის ყველაფრის საზომად, არამედ იმიტომ, რომ ამ წლებში უბრალო სურვილებითა და გრძნობებით იქმნება ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ფასეული, რომლითაც განისაზღვრება ადამიანის მთელი შემდგომი ცხოვრება. იქმნება ადამიანის სული! ყოველი ახალი გრძნობა, პირველი წლის შემდეგ, გვაოცებს თავისი სიახლით, მაგრამ ბევრია კი ეს ახალი გრძნობა? ისინი, თითქმის ყველა ცნობილია ადრეული ბავშვობიდან, ჩვენ ვხედავთ, რომ პატარას ჯერ კიდევ არაფერი გაეგება და მივმართავთ მას უცერემონიოდ, ვკამათობთ რეჟიმზე და ვერ ვიტანთ მის ჭირვეულობას, ჩვენთვის ბავშვი წამოზრდამდე ჯერ კიდევ სათამაშოსავითაა. შემდეგ კი, როცა იგი შეცნობას იწყებს, ჩვენც აღმზრდელობით მუშაობას შევუდგებით ხოლმე – სწორედ იმ დროს, როცა ის უკვე დამთავრებულია! თუ ჩვენ ბავშვი გვიგებს, მაშასადამე მისი სული უკვე ჩამოყალიბებულია. ადამიანის ტვინს მანქანისაგან განსხვავებით უსულოდ მუშაობა არ შეუძლია. აზრი ყოველთვის სხვა აზრებისაგან იბადება და არა ემოციურობით. გონება, მეხსიერება მხოლოდ მაშინ ირთვება, როცა მთავრდება მუშაობა ფსიქიკის ფუნდამენტის – სულის საძირკველის ჩაყრაზე – და მაშინ, ჩვენ, აღმზრდელნი ვიწყებთ ნაკლოვანებებთან თავდავიწყებით ბრძოლას, იმ ნაკლოვანებებთან, რომლებიც ჩვენივე წაყრუებით ან დაუდევრობით თვითონვე ჩავნერგეთ ბავშვის სულში. სული კი იმიტომ არის ძვირფასი, რომ იგი ადამიანში დაბადებიდანვე, გონების განვითარებამდე ყალიბდება მისი პირველი სურვილების და გრძნობების სახით, იმიტომ, რომ სული იდუმალია, არავინ იცის, როგორ ჩნდება მასში სურვილები და გრძნობები, იგი მისდაუნებურად აღმოცენდება, ადამიანს შეუძლია მისცეს სულს თავისუფლება ან დააოკოს, მაგრამ მათი ამოძირკვა ძნელია, სულს ვერ აიძულებ შეიყვაროს, სულს ვერ აიძულებ იყოს სხვისი, უცხო ან მცდარი, დიახ სული ყოველთვის თავისმიერია, საკუთარი, მაშინაც კი, როცა ის შეიძლება აღმოცენდეს რაღაცის გავლენით და, რაც მთავარია, სული ყოველთვის რეალურია, ჭეშმარიტი და წრფელი... მაგრამ მაინც სადაა გულისხმიერობის საფუძველი? როგორ აღვზარდოთ სული? სული - ეს სივრცის გამჭოლია, ცოცხალთა და მკვდართა საუფლოს შორის... – და არავინ ამას, პოეტს არ უსაყვედურებს! მაგრამ პედაგოგისათვის სიტყვა – „სულს“ ტაბუ ადევს: იგი მისთვის „სივრცის გამჭოლი“ ვერ იქნება და რომ არა პოეტები, შეიძლება ეს სიტყვა სულაც დაგვეკარგა და „სული“ დღეს მხოლოდ ენის „წითელ წიგნში“ გვეხილა, არადა ამ სულიერ აღზრდას, არ შეიძლება ოჯახშიდაც ტაბუ ჰქონდეს დადებული, ის უპირველესად მშობლებისაგან უნდა მოდიოდეს.

სტუდენტთა მეცხრამეტე სამეცნიერო კონფერენცია

მაღალ დონეზე და ორგანიზებულად, ჩვეული შემოქმედებითი ატმოსფეროს თანხლებით, წარიმართა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის სტუდენტთა მეცხრამეტე სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც პედაგოგთა და სტუდენტთა ერთგვარი ცოდნის დღესასწაულად იქცა, ბუნებრივიცაა, აქ ხომ ცოდნის რაკუსით თავის გამოჩენა სურს ყველას... ასე იყო ამჯერადაც სტუდენტები აგიგატ ბაბაევა, ნათია მათეოსიანი. მალვინა ჯაფაროვა, აიგულ ომაროვა, ამინა ემინოვა, ავა ბადალოვა, აიჯულ ბაირამოვა, აიდა ასტანოვა, ვერიკო კუპრეიშვილი, სუგრა ალიევა, იასამან იუსუბოვა, ოფელია მამედოვა, აიშა ბაირამოვა, დიანა ჯალალონია, ნაიდა ორუჯოვი, ნინო ყიფშიძე, თათია რამაზაშვილი, სამირა ნასიბოვა, მარიამ ქებაძე, ლიკა ბერუაშვილი, ცირა ლურსმანაშვილი, ლიკა მახატლიშვილი, ნინო ღვინჯილია, მარიამ ობოლაშვილი, ანი ნიკუაშვილი, ნინო მაჭარაშვილი, სალომე ბერძნიშვილი, სეადეტ მუსაევა, სალომე ლაბაძე, გულნაზ კურბანოვა, გვანცა პატარიძე, სამედიცინო სპეციალობის საგნის პედაგოგებთან დარეჯან იმერლიშვილთან, ქრისტინე გეზელიშვილთან, მანანა ჩხაიძესთან, ნინელი ცხვედაძესთან ერთად, მართლაცდა საინტერესო, შთამბეჭდავი და შინაარსიანი თემების კითხვით, პირველობის პრეცენდენტებად იქცნენ, მათ თავის მხრივ, არც დაცვა-პატრულირების სექციის სტუდენტები ლუკა კილაძე, ნინო კაპანაძე, ფარვიზ ნურიევი, დავით ლოქაბიძე, სალომე პატარაია, ნია ნებიერიძე, იაკობ ბალიაშვილი, ვიქტორია სერობიანი, ილია კობალაძე, ლუკა ცუცქირიძე, ლევან გვეხიძე, ლიკა გიგოლაევა, თორნიკე სულთანიშვილი, სალომე შავშიშვილი, ანრი ავალიშვილი, გიორგი ბრაგინი ჩამორჩნენ, პედაგოგების ლეილა გეგეშიძის, ზურაბ ქსოვრელის, ზეინაბ ლამაზოშვილის, თამარ თარიმანაშვილის ხელმძღვანელობით მომზადებული სამეცნიერო თემების მრავალფეროვნებით.

ამავე სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტის ანრი თოლომაშვილის თემამ „ქართველი გმირები“ მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება, რომლის შემოქმედებითი მხარის განხილვისას, თვით ქართველი გმირის ვახტანგ გზირიშვილის დედამაც ქალბატონმა მარინამაც, რომელიც სპეციალური სტუმრის სტატუსით საგანგებოდ იქნა მოწვეული სამეცნიერო კონფერენციაზე, ვერ შეიკავა სიამაყის ცრემლები და დარბაზთან ერთად განიცდიდა უდიდეს ტკივილსა და დიდ სიხარულს-გმირის აღზრდისათვის... საკონფერენციო ტრიბუნა ბანკის ოპერატორის სტუდენტებმა დაიკავეს: რაილ გასანოვის, აისელ კიარიმოვას, ლალი კილაძის, ანა შარიქაძის, სუსანა მამედოვას, სუნალ რაგიმოვის, ნათია ოსიშვილის, ვალერია ლეკიაშვილის, სამირა შახვერდიევას, თამუნა წვერავას, მიხეილ თხელიძის, მარი კალანდაძის, თიკო ელაშვილის თემები, მართლაცდა დღევანდელობას, ქართულ საბანკო და საერთაშორისო სავალუტო სისტემებს მორგებული, სამეცნიერო ხელმძღვანელი პედაგოგების თამარ ვარსიმაშვილის, ნანა წიკლაურის, ნინო კაკიაშვილის მადლობას იმსახურებდნენ...

კონფერენცია შედგა! – რომელიც ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის (განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ქეთევან ცისკარაშვილი) თითოეული სტუდენტისა და პედაგოგის უდიდესი შრომის შედეგის გამოვლინებად იქცა, ამიტომაც ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ, ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრს, სტუდენტთა მეცხრამეტე სამეცნიერო კონფერენციაში აქტიური მონაწილეობისთვის, წარმატების ვიმპელი გადასცა... ახლა კი წინ მეოცე სამეცნიერო კონფერენციაა, რომელშიც მეცხრამეტე კონფერენციის გამარჯვებულები მიიღებენ მონაწილეობას.

მანამდე კი... წინასწარ დამტკიცებული პროტოკოლის მიხედვით, ჩვენი ინსტიტუტის ყველა სასწავლო ცენტრი უმასპინძლებს ინსტიტუტის რექტორს რეგლამენტით განსაზღვრულ კონფერენციის ფარგლებში.

ქართული ცნობიერების გაღრმავებისათვის

ამ დღეებში უკრაინის დედაქალაქ კიევში მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარდა განათლებისა და მეცნიერების მორიგი საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც ევროპისა და აზიის 22 ქვეყნის წარმომადგენლობასთან ერთად მონაწილეობა მიიღო დელეგაციამ საქართველოდან.

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა, უკრაინის საპატიო მოქალაქემ, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, ამავე ინსტიტუტის ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის უფროსმა მასწავლებელმა ზეინაბ ლამაზოშვილმა, ინსტიტუტის ქ. ლაგოდეხის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ოთარ ხაზარაძემ, ქ. თელავის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა მაია მჭედლიშვილმა და სხვებმა.

კონგრესი განათლების სფეროში არსებულ მიღწევებსა და პრობლემების განხილვას მიეძღვნა და მთლიანად დაფინანსებული იყო უკრაინის მთავრობის მიერ. ღონისძიების სლოგანი ასე ჟღერდა: „განათლებამ საზღვრები არ იცის“.

კიევეის ცენტრში ეკოლოგიური უნივერსიტეტის შენობაში ყველაფერი ჯეროვან დონეზე იყო გათვლილი – სხდომათა დარბაზიდან-სასტუმრომდე, რაც ამ უმაღლესი სასწავლებლის რექტორის, უკრაინის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის ვლადიმერ ვერბიცკის დამსახურებაა.

გვესაუბრება დელეგაციის ხელმძღვანელი ბატონი გარი ჩაფიძე.

– როგორ დაგხვდათ ქალაქი კიევი,ამ მშვენიერ, საინტერესო ქალაქს, რომელიც პირადად მე,ბოლოს 10 წლის წინ ვნახე თუ ეტყობა დროის მსახვრალი ხელი?

– არანაირად, კიევი საოცრად კოპწია, მოვლილი და უამრავი ტურისტის მასპინძელი ქალაქია, უკრაინული სითბოთი და სიყვარულით აღსავსე.იმასაც დავსძენ, რომ ამ კონგრესზე განსაკუთრებულ ყურადღებას ქართველთა მიმართ იჩენდნენ.

– მოგვიყევით რა პროგრამით წარიმართა მუშაობა კონგრესის დღეებში?

– სტუმრები დარგობრივად დაგვყვეს სამუშაო ჯგუფებად, ჩვენს ქართველ ჯგუფთან ერთად მუშაობა მოუწია ყაზახეთის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს, პროფესორ აიგულ მუკაშევას პოლონეთის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს პროფესორ სტეფან ვიელსონს და ჩემს უკრაინელ კოლეგას აკადემიკოს ვლადიმერ ვერბიცკის.

სხდომებზე შეხვედრების გარდა დელეგაციის წევრები ვიყავით ჟიტომირის ოლქში, სადაც საფუძვლიანად გავეცანით საგანმანათლებლო ობიექტებს, მათი მუშაობის პრინციპებს, შეხვედრა გვქონდა ქალაქის მერთან ვიქტორია კრასნოპორისთან და დეპუტატ ივანე მარტინჩუკთან, შემდეგ ვინიცის ოლქში გვქონდა სამთავრობო დონის შეხვედრები, სადაც ჩვენთან ერთად იყო ოლქის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი ვასილ პინდუსი.

ორივე ოლქის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებით გადაწყდა, რომ ქალაქ ჟიტომირშიც და ვინიცაშიც გაიხსნება საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის წარმომადგენლობა ქალაქ ვინიცაში უდიდეს დახმარებას გაგვიწევს უკრაინის დამსახურებული პედაგოგი იგორ ივანიუკი.

– დარწმუნებული ვარ, თითქმის ყველა შეხვედრაზე მოგიწევდათ სიტყვით გამოსვლა...

– დიახ, ყველა სამთავრობო დონეზე ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის გამოსვლა ყველაზე საინტერესო გახლდათ. ვინიცაში სიტყვით გამოსვლისას აღვნიშნე,რომ უკრაინის ამ ოლქში ბევრი ქართველი ცხოვრობს და რომ სურვილი გვაქვს აქ ქართული სკოლის გახსნის-მეთქი. იდეას იქვე გამოუცხადეს მხარდაჭერა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ახლო მომავალში ვინიცაში გავხსნით ქართულ საკვირაო სკოლას.

ვინიცის ოლქში ქალაქ ილინში უკვე კარგა ხანია განხორციელებულია ჩემი სასწავლო პროექტი-სასწავლო სემესტრებთან ერთად მესამე შრომითი სემესტრი, რამაც სასიკეთო შედეგები გამოიღო, აქ გაშენებულ ვაშლის პლანტაციებში კოლეჯის სტუდენტები მუშაობენ, თავიანთი შემოსავლებით სასწავლო გადასახადებსაც იხდიან და პირად ანგარიშებზეც ერიცხებათ გარკვეული თანხები. ასე იქნება ახლო მომავალში ჩვენთანაც, რაშიც თანადგომა გამოგვიცხადა, არა მხოლოდ სიტყვიერი და მორალური, არამედ ფინანსურიც ქალაქ ილინის მერმა. მან ერთი მილიონი გრივნი (უკრაინული ვალუტა) გამოყო ჩვენთან განსახორციელებელი სიახლისათვის

პირისპირ შევხვდით პოლონეთის ქალაქ ვარშავის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს სტეფან ვიელსონს. ამ შეხვედრით გადწყდა რომ პოლონეთში ქართველი ემიგრანტებისთვისაც გაიხსნება ქართული სკოლა.

მთელ ამ მუშაობას თვალს ადევნებდა და გამომშვიდობებისას თან გვახლდა უკრაინაში საქართველოს საელჩოს პირველი ატაშე ირაკლი რიგვავა.

ლ. მარტაშვილი
ინსტიტუტის პრეს. ცენტრის ხელმძღვანელი.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369

შეხვედრა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე და ამავე კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ლეილა გეგეშიძე, ამ დღეებში, საქმიანი სამუშაო ვიზიტით საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ მარიამ ჯაშს სტუმრობდნენ, შეხვედრის ფარგლებში, რომელიც ძალზე საინტერესოდ და შინაარსიანად წარიმართა, საუბარი შეეხო, როგორც იაკობ გოგებაშვილისეული „დედაენის“ სკოლაში დაბრუნების საკითხს, ასევე ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში საგანმანათლებლო სივრცითი ბაზის მოწყობას, თავის მხრივ მასპინძელმა სურვილი გამოთქვა თანამშრომლობისა და თავისი მზადყოფნა ამ მიმართულებით კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, მარიამ ჯაშმა აღნიშნა, რომ იგი მიესალმება საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გადაწყვეტილებას, აღნიშნული კავშირის ეგიდო, იაკობ გოგებაშვილისეული სახელმძღვანელო წიგნის „დედაენის“ შექმნასთან დაკავშირებით.

ვიზიტმა, რომლის ფარგლებშიც მომავალი შეხვედრები დაიგეგმა, თბილ და კოლეგიალურ ურთიერთობაში ჩაიარა.

„თეთრი ბაირაღები“

რუსთავის აკადემიურ ქალაქში, უკვე ორი წელია, რაც მაღალ დონეზე ფუნქციონირებს ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრი, როგორც ჯანმრთელი, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთათვის, სასწავლო პროცესის შემდეგ, დღის გონივრული დაგეგმირება ჩვენი პრიორიტეტია, ამიტომაც ორჯერადი კვებისა და მომდევნო დღის გაკვეთილების მომზადების სინქრონულად, ხშირად ვატარებთ დისპუტებს სხვადასხვა საკითხებზე, შევქმენით სადისკუსიო კლუბი, ვხვდებით საინტერესო ადამიანებს, გვაქვს ექსკურსიები, კოლექტიური სვლები სპექტაკლებზე... ასე იყო ამჯერადაც, ჩვენი ბენეფიციარების დიდმა მეგობარმა და მოამაგემ, ქ.რუსთავის გ.ლორთქიფანიძის სახელობის თეატრმა, ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ სპექტაკლით გვიმასპინძლა, რომლის ხილვითაც ამაღელვებელი განწყობილების გაგრძელება გახლდათ აღნიშნული სპექტაკლის განხილვა მეორე დღისით, რასაც თან ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფიის გაცნობა მოჰყვა: – თინათინი და მარიამი, რომანი და ანა, ლიზი და ნატო, გურამი და თიკა, ნიკოლოზი და ... სხვები აქტიურად აანალიზებდნენ ნაწარმოების პერსონაჟთა ყოფიერებას. ამ საინტერესო დღეებს მომავალშიც დიდი გაგრძელება ექნება!

მაკა გოგობერიშვილი,
ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის
ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრის პედაგოგი

შეხვედრა პატრულთან

ამ დღეებში საქართველო – უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის სასწავლო ცენტრს, ქვემო ქართლის რეგიონის საპატრულო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები: – პოლიციის მაიორი ირაკლი აზმაიფარაშვილი და პოლიციის კაპიტანი გიორგი ბაკლაროვი, სტუმრობდნენ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სალექციო კურსით.

დაცვა- პატრულირების სპეციალობის სტუდენტები დაინტერესდნენ საპატრულო პოლიციის უფლება-მოვალეობებით, თანამედროვე რეფორმებით, ოჯახური ძალადობის პრობლემებით, პოლიციისა და სამოქალაქო სექტორის ურთიერთობის საკითხებით, განსაკუთრებული ინტერესი კი პოლიციის აკადემიაში სწავლის გაგრძელების სურვილმა გამოიწვია.

სალექციო კურსის მეორე ნაწილი კითხვა-პასუხსა და დისკუსიაში გადაიზარდა, აქტიურობდნენ სტუდენტები: ლუკა კილაძე, ანრი თოლომაშვილი, გიგა გურასპიშვილი, სალომე პატარაია, ლუკა ცუცქირიძე, გიორგი ბრაგინი, ილია კობლაძე და სხვები, აღნიშნული შეხვედრით არც პედაგოგები: ლ. გეგეშიძე, ქ. ცისკარაშვილი, ზ. ლამაზოშვილი, ზ. ქსოვრელი, ნ.წიკლაური დარჩნენ გულგრილნი, რომელთაც საინტერესო შეკითხვებით მიმართეს მოწვეულ სტუმრებს.

მასწავლებლები მუდამ ვრჩებით მასწავლებლებად....

ჭიათურა

სასწავლო ცენტრი, რომელზედაც მინდა გიამბოთ, ფუნქციონირებს მთების ძირში ხომალდივით ჩაძირულ მაღაროელთა ქალაქში 2012 წლიდან. დღიდან დაარსებისა, ჭიათურაში ამ სასწავლო ცენტრის გახსნამ, დიდი დაინტერესება გამოიწვია, რაც გამოიხატება სასწავლო ცენტრში სტუდენტების საკმაო შემოდინებით.

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ ჭიათურის სასწავლო ცენტრის დაარსებას, ქართველი და უკრაინელი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა მეგობრობამ დაუდო საფუძველი და ქალაქის ახალგაზრდებისათვის პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ფაკულტეტები გაიხსნა.

ჩვენთან ცოდნას იღებენ და პრაქტიკულ ჩვევებს ეუფლებიან ფარმაცევტის მომავალი თანაშემწენი და ბანკის ოპერატორები.

გამოგიტყდებით, საკმაოდ ვღელავდი, როდესაც იხსნებოდა სასწავლო ცენტრი ისეთ ქალაქში, სადაც თითქმის ყველა სკოლა წარმატებულია, რაც თითოეული პედაგოგის მუხლჩაუხრელი შრომისა და ადგილობრივი ახალგაზრდობის ცოდნისკენ სწრაფვის შედეგია, ასეთ წარმატებულ ქალაქში ჩვენი სასწავლო ცენტრის დაფუძნება, სირთულეებთან იყო დაკავშირებული... ჩვენთან ხომ ახალბედა სტუდენტებს ახალი ცხოვრება უნდა დაეწყოთ, მათთვის საინტერესო და მიმზიდველი გარემო უნდა შეგვექმნა, დაგვეინტერესებინა თითოეული მათგანი, მიგვეცა მათთვის ახალი პერსპექტივები და შესაძლებლობები, რომ თავი დაემკვიდრებინათ ისეთ საზოგადოებაში, სადაც კონკურენციის მაღალი დონეა..

ჩვენს სასწავლო ცენტრში, მის ყველა სპეციალობაზე ქალაქის ავტორიტეტული პიროვნებები ასწავლიან, ისინი თავდაუზოგავად მუშაობენ, დამატებით მეცადინეობებს ატარებენ, თუ ამის აუცილებლობა არსებობს. სწორედ მათი მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგია ის, რომ სტუდენტთა მე-11 სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის ეგიდით, საქართველოს მასშტაბით ტარდება ყოველწლიურად, ჩვენი სასწავლო ცენტრის ფარმაცევტის თანაშემწის სპეციალობის სტუდენტმა მელანო სვანაძემ გაიმარჯვა და 10 დღიანი ვიზიტით, სრული დაფინანსებით, მიწვეულები ვიყავით უკრაინაში. რაც უდიდესი სტიმულია ჩვენი სტუდენტებისათვის.

ყოველ წელს, როდესაც კურსდამთავრებულებს ვეთხოვებით, გვიჭირს მათთან განშორება, ცრემლებიც კი მოგვერევა-ხოლმე, როცა ვისმენთ მათ გულისამაჩუყებელ სიტყვებს: „ნუთუ აქ აღარ მოვალთ, არ გვინდა თქვენთან განშორება, მოგვენატრებით, არ დაგიივიწყებთ...“ მიდიან და თითქოს გულის რაღაც ნაწილიც თან მიაქვთ, მათგან უმეტესობა უკვე თავისი სპეციალობითაა დასაქმებული: ბანკში შევდივარ თუ აფთიაქში, ვხედავ ნაცნობ სახეებს და გული სიამაყით მევსება...

ასეა, თაობა წინ მიიწევს, როგორც მდინარე, ჩვენ მასწავლებლები კი ვრჩებით მასწავლებლებად და აღსაზრდელთა ახალ ნაკადს ველით...

თამარ ჩხეიძე,
ქ. ჭიათურის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის
მართვის სამსახურის უფროსი

ქ. კიევის პერსონალთა მართვის რეგიონალური აკადემია გიწვევთ სასწავლებლად 2019-2020 სასწავლო წლისათვის ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტურანტურაში

- ადმინისტრირება და მენეჯმენტი
- ჟურნალისტიკა
- სამართალმცოდნეობა
- პედაგოგიკა
- სოციალური პოლიტიკა
- საერთაშორისო დიპლომატია
- პოლიტოლოგია
- სამედიცინო და ფარმაცევტული მენეჯმენტი
- ინჟინერია
- პერსონალთა მართვა

სასწავლებელი აკრედიტირებულია!
ჩარიცხვა ეროვნული გამოცდების გარეშე!

მისამართი: ქ. რუსთავი; შევჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი) კორპუსი 1; (ქ. კიევის პერსონალთა მართვის რეგიონალური აკადემის ქ. რუსთავის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი) ტელ: (0341) 22-25-00

კურსდამთავრებულთათვის გაიცემა უკრაინის სახელმწიფო დიპლომი!

საქართველო უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები

აცხადებს მიღებას

IX და XII კლასდამთავრებულთათვის,
ასევე მიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები
სწავლისაგან მოუწყვეტლად

არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით

- ✓ კომპიუტერული ტექნოლოგიები
- ✓ დაცვა-პატრულირება
- ✓ გარემოს დაცვა
- ✓ კრიმინალისტი
- ✓ ბანკის ოპერატორი
- ✓ ფარმაცევტის თანაშემწე
- ✓ კბილის ტექნიკოსი
- ✓ სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი
- ✓ ხილ-ბოსტნეულის პირველადი გადამამუშავებელი
- ✓ ვეტერინარი
- ✓ ბაგა-ბაღის აღმზრდელი
- ✓ კორესპონდენტი
- ✓ გიდი, ტურიზმი

მისამართი:

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7
ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი)
ქ. აბაშა, აღმაშენებლის ქუჩა №141
ქ. ოზურგეთი, კვაჭალათას ქუჩა №5
ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №2
ქ. ტყიბული, კოსტავას ქუჩა №1
ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №36
ქ. საბარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა №6
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №6
ქ. ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქუჩა №2
ქ. თელავი, ალაზნის ქუჩა №71
ქ. ახმეტა, რუსთაველის ქუჩა №9

კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან დიპლომს!